„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ივნისი. 2020 * (4)61

პრეზენტაცია ვარძიაში

ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით წელს კულტურული მემკვიდრეობის 100-მდე ძეგლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ბიძინა ივანიშვილსა და ფონდ „ქართუს“ კულტურის სფეროში ქველმოქმედების სახით მილიარდ ლარამდე აქვს გაღებული. მხოლოდ მიმდინარე წელს, ძეგლთა დაცვის მიმართულებით „ქართუს“ საქველმოქმედო დაფინანსება 20 მილიონ ლარს აჭარბებს, რომლის ფარგლებშიც, 100-მდე ძეგლზე სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის თაობაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიშის პრეზენტაციაზე ითქვა.

ვარძიაში გამართულ პრეზენტაციაზე სააგენტოს ხელმძღვანელმა, **ნიკოლოზ ანთიძემ** საზოგადოებას 2019 წელს განხორციელებული და მიმდინარე პროექტები წარუდგინა.

ფონდი „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარის, **ნიკოლოზ ჩხეტიანის** თქმით, ფონდს საქართველოს მასშტაბით აღდგენილი აქვს რვაასზე მეტი ისტორიული ძეგლი.

„წელს გვაქვს ძალიან ინტენსიური პროგრამა, 98 ძეგლის აღდგენას ვაპირებთ, ამისთვის გამოყოფილია 21 მილიონი ლარი. თუ საჭიროება დადგა და პანდემიური სიტუაცია შესაძლებლობას მოგვცემს, ეს ბიუჯეტი გაიზრდება. ძალიან ოპტიმისტურად ვუყურებთ წლევანდელ გეგმას და ვაპირებთ, კვლავაც მხარში დავუდგეთ სახელმწიფოს და დავიცვათ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა“, – განაცხადა ნიკოლოზ ჩხეტიანმა.

მასშტაბურ პროექტებს შორის, პირველ რიგში, ნიკოლოზ ჩხეტიანი აწყურის საკათედრო ტაძრის აღდგენას ასახელებს, რომლის დასრულება 2022 წლისთვის იგეგმება.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, 2019 წელს ფონდ „ქართუს“ ძალისხმევით, კულტურული მემკვიდრეობის 75 ძეგლის რეაბილიტაცია განხორციელდა.

სააგენტოს ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ ანთიძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მოვლის პროცესში სახელმწიფოს მთავარ პარტნიორს – ფონდ „ქართუს“, რომლის დაფინანსების წილი სახელმწიფოს დაფინანსების წილს აღემატება.



ქართული კულტურის მიმართულებით სხვადასხვა პროექტებს „ფონდი ქართუ“ უკვე ოცი წელია მუდმივად აფინანსებს, მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას, მათ აღდგენა-რესტავრაციასა და მოვლა-პატრონობას.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიშის პრეზენტაციაში მონაწილეობა მიიღო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **მიხეილ ჩხენკელმა.**

*პრეზენტაციას ფონდი „ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ნიკოლოზ ჩხეტიანი**, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი **სოზარ სუბარი**, ხელისუფლებისა და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ*

სამცხე-ჯავახეთის რწმუნებულის შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიაში

ახლახან ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიაში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული **ბესიკ ამირანაშვილი** მუნიციპალიტეტში მერს და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე განხილული იქნა კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისთვის გაწეული დახმარების საკითხები.

სახელმწიფო რწმუნებულმა ინფორმაცია უშუალოდ სამსახურის ხელმძღვანელებისგან მოისმინა მუნიციპალიტეტში კორონავირუსის პანდემიის გავრცელების პრევენციისას გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, სოციალური და სხვა ტიპის სერვისების შესახებ, რომლებსაც მუნიციპალიტეტის მერია სთავაზობდა ცალკეულ მოწყვლად ჯგუფებს.

შეხვედრაზე ასევე ხაზი გაესვა მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ პროექტებს, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. შეხვედრის შემდეგ მხარის რწმუნებულმა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად ადგილზე მოინახულა ასპინძის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები.

ბესიკ ამირანაშვილი რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში მსგავს შეხვედრებს გამართავს და არსებულ პრობლემებს პირადად გაეცნობა.

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მიმდინარე წლის 11 ივნისს გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის დისტანციური საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

– ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე;

– ასპინძის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

სხდომას თავმჯდომარეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა მელიქიძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მარტის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. „ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველ კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განთავსება/ მშენებლობა შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის გარეშე„_ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 07 ნოემბრის №22 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების ა.(ა) ი.პ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება _ კულტურის ცენტრისთვის დროებით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

5. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, იჯარა-აღნაგობის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტაზე, მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

6. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრის მომსახურების საფასურზე შეღავათების განსაზღვრის შესახებ:

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (საძოვარი) ნაკვეთების ელექტრონული აუქციონის ფორმით გაცემის შესახებ.

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

სხდომას თავმჯდომარეობდა მამუკა მელიქიძე.

მაკა ბერიძე

მიმდინარეობს ტროტუარების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის სინამდვილეში თითქოს ყოველდღიურ ნორმად იქცა ქუჩების კეთილმოწყობითი სამუშაოების ჩატარება. ამ მიზნით ბევრი სასიკეთო ძვრები მოხდა ჩვენს სინამდვილეში და დღითიდღე დაბასა თუ სოფლებს ემატება ახალ-ახალი, თვალშისაცემი ობიექტები.

ახლახან დაიწყო დაბა ასპინძაში ტროტუარებისა და სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე დაბის ცენტრში, მთავარ საავტომობილო ტრასაზე, ე.წ. ბაზრის გვერდით მოეწყობა წრიული მოძრაობის და უსაფრთხოების კუნძული.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მთლიანად დაიგება 1800 მეტრზე მეტი სიგრძის ტროტუარი, ორი მიმართულებით – ვარძიის ქუჩაზე 1480 მეტრამდე და რუსთაველის ქუჩაზე 330 მეტრი (გარკვეულ მონაკვეთებზე მოეწყობა საყრდენი კედლები და სანიაღვრე არხები).

სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ტენდექსი“.

მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში დასაქმებული მუშახელი სამუშაოებს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების სრული შესაბამისობით ახორციელებს.

ოშორასა და დამალაში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს

ასპინძის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გრძელდება. მუნიციპალიტეტის სოფლებში ოშორასა და დამალაში შიდა გზებზე ასფალტობეტონის საფარი იგება, ეწ-

ყობა სანიაღვრეები, ცხაურები და ეზოების შესასვლელი მონაკვეთები.

სარეაბილიტაციო სამუშაოები რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქაც და სხვა სამშენებლო ობიექტებზე ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების სრული შესაბამისობით ხორციელდება.

მომსახურების დონეს გააუმჯობესებს!

ასპინძის მერიის მიმდებარედ გამოკრული აბრა უმალ იპყრობს უცხო თვალის ყურადღებას და ძალაუნებურად დაგაინტერესებს, ახლადმშენებარე ობიექტს რა დანიშნულება ექნება მომავალში.

ცხადია, რაც დრო გადის მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით, კომპიუტერულ ეპოქაში, თითქმის ყოველდღე ახალ-ახალი სიურპრიზების მოწმენი ვხდებით და ის რაც გუშინ უცხო ხილი იყო, დღეს თითქოს არაფერიო, ჩვეულებრივად ვეგუებით ჩვენს თვალწინ გარდაქმნილ ცხოვრებას.

ეს აბრაც ჩვენს ყოველდღიურობაში ახალი გაუმჯობესებული მომსახურების მაუწ-

ყებელია: – „მიიღეთ 200-ზე მეტი მომსახურება ქალაქიდან გაუსვლელად, კომფორტულ გარემოში!“

დიახ, ცოტა ხანი და ასპინძელებს მართლა კომფორტულ მომსახურებას გაუწევს საზოგადოებრივი ცენტრი, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუფერხებლად შეეძლება მიიღოს პასპორტი და პირადობის მოწმობა; სოციალური დახმარება; პენსია; მოახდინოს მიწის რეგისტრაცია; საბანკო მომსახურება და სხვა.

საზოგადოებრივი ცენტრი მოეწყობა თანამედროვე სტანდარტების დონეზე, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ინტერნეტ-მომსახურებით, შესაძლებელებლობა გვეძლევა აქ გავმართოთ საჯარო დისკუსიები, მეცადინეობები, წარდგინებები, ლიტერატურული, შემოქმედებითი საღამოები და სხვ., რისი საშუალებაც აქამდე ასპინძელებს არ ჰქონდათ და თუ სადმე შეიძლებოდა მსგავსი ღონისძიებების ჩატარება, ცხადია, ყოველგვარი კომფორტისა და თანამედროვე მოთხოვნების გარეშე.

კორონა-ვირუსის პანდემიის მიუხედავად ამ ობიექტის მშენებლობა არცერთი დღე არ შეჩერებულა და სატენდერო მოთხოვნების გათვალისწინებით ასპინძელები სულ მალე მიიღებენ კიდევ ერთ შესანიშნავ ობიექტს, რომელიც ასევე მომსახურებასთან ერთად მთლიანად შეუცვლის იერსახეს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიას.

სოფლები იერსახეს იცვლიან

უახლოეს წარსულში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა სოფლის მისასვლელი გზებისა და, მით უმეტეს, შიდა გზებზე ასფალტისა თუ ასფალტო-ბეტონის გზების დაგება. თვით დაბაშიც კი მხოლოდ ორი-სამი ქუჩა იყო მოასფალტებული, ტალახსა და ოღრო-ჩოღრო გზებზე უხდებოდა მოსახლეობას სიარული, შესაბამისად, მოუწესრიგებელი იყო თითქმის ყველა ქუჩაზე ეზო-კარმიდამოს დამცავი ღობეები. ახლა კი, გზების კეთილმოწყობასთან ერთად, იერსახეს მოსახლეობის საკარმიდამოების ღობეებიც იცვლის და ქუჩები სასიამოვნო გარემოს ქმნიან.

ახლახან კიდევ ერთი კარგი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება დაიწყო მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალაში (ე.წ. ლაშხევი), დაბასა (ვარძიის I-II ჩიხი) და სოფელ ტოლოშში, კერძოდ, მისასვლელი გზების დამთავრების შემდეგ შიდა გზებს მიექცა დიდი ყურადღება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ამ სოფლებში მოეწყობა ასფალტო-ბეტონის საფარი სიგრძით 1900 მეტრამდე, რომელსაც აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,საგზაო სამმართველო-N2”.

მეტი ყურადღება წიწვოვან ხეებს!

ნებისმიერი დასახლებული პუნქტის სილამაზეს არამარტო შენობა-ნაგებობების სიმრავლე, მათი კეთილმოწყობილი ეზო-კარმიდამო, არამედ კარგად დაცული ფლორა განაპირობებს. ადამიანთა ჯანმრთელობა განპირობებულია უპირველესად მეტი მწვანე გარემოთი, ხე-მცენარეების სიმრავლით. სადაც ეს კომპონენტები ჭარბობენ, ჰაერიც გაჯანსაღებულია და ადამიანის ჯანმრთელობაც – დაცული.

უფროსი თაობის ადამიანებს კარგად ემახსოვრებათ, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ყოველ გაზაფხულზე, როგორი ბუმი იყო ე.წ. „შაბათობების“ სახით და რამდენი ფიჭვისა თუ ნაძვის ახლადგამოყვანილი ნერგები ირგვებოდა როგორც ტყის ზოლებში, ასევე დასახლებული პუნქტების მიმდებარე ტერიტორიებზე, რომლებსაც მოვლა-პატრონობას არ აკლებდნენ და შედეგად ახლადგაშენებული კორომები დღეს ტყის მასივებად არიან ქცეულები.

იმის მიუხედავად, რომ ამ მიმართებით მუშაობა დღესდღეობით არცთუ ისე სახარბიელოა, კარგია, რომ არსებულ მარადმწვანე წიწოვან ხის ჯიშებს (ფოთლოვანსაც) ადგილობრივი ხელისუფლება არ აკლებს მზრუნველობას. ამის საუკეთესო მაგალითია ყოველწლიურად დაბაში არსებული წიწოვანი ხეების მავნებელი მწერებისაგან დაცვა.

ახლახან დაბის ცენტრში, კულტურისა და დასვენების ორივე პარკში, არსებულ ყველა ხის ძირი შეთეთრდა კირის ხსნარით და ჩაუტარდათ მათ ძირებს შემობარვა, რაც მათი დაცვის გარანტიაა.

რეაბილიტაცია უტარდება

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წარმატებით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტები.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ გელსუნდაში რეაბილიტაცია უტარდება საცალფეხო ხიდს, რომლის სამუშაოებსაც აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,ალმე”.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად ხორციელდება.

შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაპეთებთ

ა(ა) იპ ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრი მუშაობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დარეგისტრირებული დებულებისა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებული 2020 წლის საშტატო განრიგის (მუდმივი და სეზონური), ხარჯთაღრიცხვით, სარწყავი არხების, წყლის სატუმბო სადგურების და სოფლების სასმელი წყლის ქსელით მომსახურების საფასურის შესაბამისობით.

ცენტრი მომსახურეობას უწევს დაბისა და სოფელ ნიჯგორის გრავიტაციულ არხებს, რუსთავის, ვარნეთის, ივერიისა და ხვილიშის სატუმბო სადგურებს, სოფელ ხიზაბავრის წვერის წყალსაცავს.

ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრში დასაქმებულია 40-მდე ადამიანი. სულ წლიური ბიუჯეტი 185 000 ლარია. მათ შორის: ხელფასები 160 200 ლარი, სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია – 1000 ლარი, სარწყავი არხების რეაბილიტაცია – 4400 ლარი, სოფლებში სასმელი წყლის მოვლა-პატრონობა – 3000 ლარი, სატრანსპორტო ხარჯი გათვალისწინებულია 11500 ლარი, საოფისე – 3700 ლარი და სხვადასხვა ხარჯები – 1200 ლარი.

ახალი კორონა-ვირუსის პანდემიის ფონზე შემჭიდროვებულ ვადებში განვახორციელეთ მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, – გაიწმინდა და გასუფთავდა გრავიტაციული, სადერევაციო და სატუმბო სადგურების საექსპლოატაციო არხები, რომელთა საერთო სიგრძე 23 675 მეტრია, სატუმბო სადგურის სადაწნეო ქსელების – 3650 მეტრი; საჭიროების შესაბამისობით მოეწყო წყალსატარი მილები დაბისა და სოფელ რუსთავის ტერიტორიაზე, გრავიტაციულ არხებში ფილტრაციული ადგილები მოპირკეთდა; სოფელ რუსთავში მოსახლეობის მოთხოვნითა და ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევით, ასევე ჩვენ მიერ გათვლილი პარამეტრების შესაბამისად ,,მტკვარ-ჰესის“ მიერ შემოტანილი იქნა აგრეგატი (ტუმბო და ძრავი) ცნს 300/180 კბმ საათში, სიმძლავრით 280 კვტ ბრ.1450 წთ-ში, გამოშვებული 2020 წელს, რომელიც დამზადებულია

ბელორუსიის რესპუბლიკაში, რომლის დამონტაჟება განხორციელდა ჩვენივე ცენტრის თანამშრომლების მიერ და მელიორაციული წყალი მივიღეთ 30 წლის უკან არსებულ გრავიტაციულ ნაარხალში, საიდანაც შესაძლებელია სოფლის სავარგულების სრული გასარწყავება.

ამ პერიოდისათვის მიმდინარებს ხვილიშის სატუმბო სადგურის სადაწნეო ქსელის რეაბილიტაცია, ყველა მელიორაციულ ობიექტზე დანიშნული გვყავს მემანქანეები, მერუეები და დარაჯები.

გატარებული ღონისძიებების შედეგად ჩვენი ორგანიზაცია მზადაა მერიის მიერ დამტკიცებული ტარიფების შესაბამისობით განახორციელოს მოსახლეობის გამართული სარწყავი სისტემით მომსახურეობა. თუ გასულ წელს მომსახურეობა გაეწია 1000-მდე ბენეფიციარს და მოირწყო 805 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, მიმდინარე წელს, სავარაუდოდ, მომსახურეობა გაეწევა 1000-ზე მეტს ბენეფიციარს და მოირწყვება 825 ჰექტარი. გარდა მელიორაციული ობიექტებისა, ცენტრი მომსახურეობას უწევს სოფლების: ხიზაბავრის, ხერთვისის, საროს, ნიჯგორის, ივერიის, ტოლოშის, ძველის, ჭობარეთის, დამალის და ადგილმდებარე თოლერთის სასმელი წყლის – წყალაღების წყაროებს, მაგისტრალურ ქსელებს, რეზერვუარებს, საუბნო ქსელებს, გამანაწილებლებსა და ბენეფიციართა სამომხმარებლო სასმელი წყლის ქსელებს.

9 ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის ობიექტზე დანიშნულია შესაბამისად მომზადებული კვალიფიციური ზედამხედველები და ცენტრი მომსახურეობას უწევს მთლიანობაში მაგისტრალურ სასმელი წყლის ქსელს საერთო სიგრძით 55 კილომეტრს, შიდა სამომხმარებლო ქსელის საერთო სიგრძე კი შეადგენს 42 კილომეტრს, 9 რეზერვუარს და 852 წყალმომხმარებელს.

ყველა სოფელში ტარდება სასმელი წყლის გაუსნებოვნებლობის სადეზინფექციო ღონისძიებები, სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

მიმდინარე სარემონტო სამუშაოები შესრულდა სასმელი წყლის ქსელებზე: შესადუღებელი, გადასაბმელი, წყალგამანაწილებელ ჭებში შეიცვალა ვენტილები, სისტემატურად ხდება წყლის სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია, დაზიანებული – კოროზირებული ადგილების ამოკვეთა და მათი ახლით შეცვლა, ასევე იწმინდება ნატანისაგან.

ცხადია ბიუჯეთით გამოყოფილი სახსრები მიუხედავად იმისა, რომ მწირია, შესაძლებლობის ფარგლებში არსებული ბიუჯეტით მაქსიმალურს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მოსახლეობა დაკმაყოფილდეს როგორც სასმელი, ასევე მელიორაციული წყლით.

მერაბ ნარიმანიძე

ნინ დიდი გზა აქვთ!

20 ივნისს დაბა ასპინძის საჯარო სკოლის IV ბ კლასში მოეწყო დაემშვიდობება კლასის დამრიგებელსა და მოსწავლეებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ კორონა-ვირუსის პანდემიიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა ტრადიციული ღონისძიების ჩატარება, ამიტომ ამჯერად მოსწავლეები შეიკრიბნენ საჯარო სკოლის ეზოში მდებარე ეკლესიასთან, სადაც მამა აკაკი რევიშვილმა დალოცა ისინი და მომავალი წარმატებები უსურვა. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სკოლის დირექტორი კლარა ზედგინიძე, რომელმაც ასევე მიულოცა ბავშვებს სასწავლო წლის დამთავრება. მოსწავლეებმა თეთრ მაისურებზე ერთმანეთს წარწერები გაუკეთეს და გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

ეკლესიიდან მოსწავლეებმა გადაინაცვლეს კულტურისა და დასვენების პარკში – სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის შეწირულთა მემორიალთან. ბავშვთა ხალისიანი ჟრიამული ფარავდა

მიდამოს; მათთან ერთად ამ ღონისძიებას მოსწავლეთა მშობლები და ღონისძიებით დაინტერესებული ასპინძელებიც ესწრებოდნენ. აქაც, წესისამებრ, პატარებმა სამახსოვრო სურათები გადაიღეს. ცხადია ეს დღე მათთვის დაუვიწყარი იქნება.

ჩვენს აღსაზრდელებს დღენიადაგ ვუნერგავთ სამშობლოს სიყვარულს, მათი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა კი თითოეული ჩვენთაგანის ვალია და ამიტომაცაა, რომ მათ კარგად იციან სამშობლოსათვის თავდადების ფასი და არ ივიწყებენ იმათ სახელებს, რომლებმაც უყოყმანოდ შესწირეს თავი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას.

გვჯერა, ეს ის თაობაა, რომელიც დაიცავს იმ მონაპოვარს, რომელიც საკუთარი სისხლით მოგვიტანეს ჩვენმა გუშინდელმა გმირებმა და, ცხადია გააგრძელებენ იმ ტრადიციებს, რაც წინაპართაგან მოგვდევს. აქვე დავძენ, ამ ოთხ სასწავლო წელში მიღებული ცოდნა ჩვენს საიმედო მოსწავლეებს სასიკეთოდ წაადგებათ ცხოვრების ახალ ეტაპზე, მიაღწევენ წარმატებებს და, რაც მთავარია, მათში ჩადუღაბებული ის ადამიანური ღირებულებები ყოველმხრივ დაეხმარება მათ სრულყოფილ, რეალიზებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

ნინო ფილიშვილი,
ასპინძის საჯარო სკოლის
მე-4 ბ კლასის დამრიგებელი

ფოლკლორი

ასპინძის ომის 250 წლისთავისათვის

ასპინძის ომი

ცოტა სიჩუმე, ბიჭებო,
სიჩუმე ცოტა ხანსაო,
ეხლა ლექსით მოგიყვებით
მესხეთის ძველ ამბავსაო.
მესხეთის ერთი ნაწილი
ასპინძა, თმოგვის ციხეა,
ერეკლემ ოსმალოს ჯარებსა
ასპინძას დასცა მეხია.
ასპინძის ზემოთ სოფელსა
სახელად ჰქვია დამალა,
ერეკლემ ნაწილი ჯარები
იმ სოფელშიაც დამალა.
ომისთვის დაჰკრეს ბუკები,
ხმალმა დაიწყო პრიალი,
დაჭრილთა ოხვრის ხმა მოდის,
ისმოდა ისართ სრიალი.
მესხეთს შემოსეულ მტრის ჯარებს
დღე დაუყენა ცუდია,
მარცხნიდან შემოუარა,
მარჯვნით აჰყარა ხიდია,
დამარცხებულსა მტრის ჯარებს
საქმე ძალიან წაუხდათ,
სანამ ხიდამდის მივიდნენ,
ხიდი აყრილი დაუხვდათ.
უკან მისდევდა ერეკლე,
„დაჰკარით მტერსა!“ – ჰკიოდა,
დამფრთხალი ოსმალოს ჯარები

შიშით მტკვარაში სცვიოდა.
ცოცხალი მკვდარზედ ხტებოდა,
მტკვარს იქით გადადიოდა,
მაინც ისიც ვერ რჩებოდა,
იგივე ისრით კვდებოდა.
წყალში დამხვრჩალი ჯარების
თბილისს გასინჯვა ხდებოდა,
არ იყო ქართველთ ჯარები,
სულ ოსმალეთის დგებოდა.
ერეკლემ ომის შემდეგში
რუსთავს ნადიმი გამართა,
მესხეთში შემოსულ მტრის ჯარებს
ასრეთი დღენი დამართა.
ეხლა ძმებო, ჩვენც დავუკრათ
და დაუაროთ გმირული,
სიტყვა ვისმინოთ ბელადის,
რას გვეტყვის წინა პირული.
ეს ჩვენი სიმუს სტალინი
გრგვინავს, ზვირთებს სცემს ზღვასავით
და სახელიცა ლენინის
თავზე გვადგია მთასავით.

შაო (ალექსი) ჯვარიძე,
81 წლის, სოფელი ჭობარეთი,
ჩაიწერა ვაჟა სამსონიძემ
1971 წელს

გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!

ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, კორონა-ვირუსის ეპიდემია ასეთ მასშტაბებს თუ მიიღებდა. მსოფლიო ისტორიას ახსოვს არაერთი დიდი ეპიდემია, რომელსაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს, მაგრამ მისი ლოკალიზება მცირე დროში მაინც მომხდარა, მაგრამ ცივილიზებულ სამყაროში, როცა მედიცინაში უდიდესი მიღწევებია და მეცნიერებამ და ტექნიკურმა პროგრესმა განვითარების უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია, თურმე, შესაძლებელი ყოფილა დომინოს პრინციპით ერთი თვის მანძილზე დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე გავრცელებულიყო კორონა-ვირუსი და მაღალგანვითარებული ქვეყნებიც კი როგორც ადამიანური თვალსაზრისით, ისე ეკონომიურადაც მნიშვნელოვნად დაეზარალებინა.

მადლობა ღმერთს, რომ საქართველო მეტ-ნაკლებად, თითქმის ყველა ქვეყნებისგან გამოირჩევა ამ ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთ სამაგალითო ქვეყნად იქცა, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც, ამ სიტყვების სრული გაგებით, ეპიდემია მართლა მძვინვარებს ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში და დილემის წინაშე დგანან, როგორ დააღწიონ თავი ამ უბედურებას.

ცხადია, არაფრისაგან დაზღვეულები არ უნდა ვიყოთ, მაგრამ ამ სერიოზული პრობლემის მიმართ არათუ თავდაჯერებულები უნდა ვიყოთ, პირიქით, ახლა გვმართებს მეტი სერიოზულობით მიდგომა მისგან თავდაცვისათვის, რათა ეპიდემიის მოსალოდნელი მეორე ეტაპი კიდევ უფრო უმტკივნეულოდ გადავიტანოთ. ამიტომ გვმართებს – დავიცვათ ის ძირითადი მოთხოვნები, რასაც ჯანდაცვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ყოველდღე გვმოძღვრავენ და სწორი პოზიციებისკენ მიგვითითებენ.

სამთვიანი მძიმე კარჩაკეტილი მდგომარეობიდან ქვეყანა თანდათანობით გამოდის, ამუშავდა ბევრი საზოგადოებრივი დაწესებულება, სახელმწიფო სტრუქტურები, ტურიზმის სფეროში არსებულმა პრობლემებმა საშუალება მოგვცა ყველაფერი შიდატურიზმით შეგვეცვალა, მაგრამ სიფრთხილე პანდემიისაგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალებად კვლავ დიდხანს უნდა მივიჩნიოთ. მით უფრო, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი განეკუთვნება იმ რეგიონს, სადაც, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, ათასობით ტურისტსა თუ ექსკურსანტს მასპინძლობს, როცა გაზრდილია საოჯახო სასტუმროების რაოდენობაც და ადგილობრივ მოსახლეობასთან ხშირია მათი კონტაქტები.

გვახსოვდეს! – თვითდამშვიდების უფლება კიდევ დიდხანს არ გვექნება და ამიტომ სრულად და თანმიმდევრობით უნდა დავიცვათ ყველა ის მითითებანი, რაც, როგორც ითქვა, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები გვკარნახობენ.

არ შეიძლება არ ვთქვათ ისიც, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი მუნიციპალიტეტია საქართველოში, სადაც ამ ვირუსით დაავადებულთა არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა და ამ მონაპოვარს გაფრთხილება უნდა.

იმედია ასპინძელები ამას უსათუოდ გაითვალისწინებენ!

ავთანდილ მესხი

ფარსულის ფურცლები

ასპინძის სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. 1946 წელი

ზედათმოგველი მაისურაძეები

მაისურაძეები არიან, თმოგვის ძირზე პატარა სოფლის ძველი თმოგვი რო არის, კლდეში ეკლესიები რო არის, მაგედან არიან ასულები, – წამოსულები. დიდი წვიმები ყოფილა და რაღაცა ნაფოტი წამოუღია წყალსა. კაცი გამოსულა და, რაგორაო, ზემოთ ტყე ყოფილა, ორი კვამლი ყოფილა, ვინ ყოფილან, ესენი აღარ ვიცი, ამდგარა და დაინტერესებულა ეს კაცი, წასულა ზედა თმოგვში. ასულა. რო ტყე ყოფილა. სულ ტყეა აქ. რა ხალხი იქნება, მერე ერთ კაცს შეუმჩნევია, გამოსულა, ვინა ხარ, რას დადიხარო.

– აქაო, რავი, კაცოო, არ გვქონდა ჩვენ ასეთი ნარმოდგენა, რო ზედათმოგვ, აქ, ტყე იქნებოდაო. ან ადამიანი იცხოვრენდაო.

– როგორ არაო, ორი-სამი კვამლი ვართ აქო. მერე რო ის ქნილა, რა გქვიაო, რავიცი, აქ გვარი არ გვაქვსო. სცმევია მაისური, მაშინდელი ჩაცმულობით. ჰოდა, რა ვიციო და რა არ უთხრა, რაზე არ ილაპარაკეს და რო წამოვიდა, ამ კაცმა ბევრი იფიქრა, კაცოო, აქაო, ამდენი ხანია ვართ და ადამიანისშვილი არ დაგვინახიაო და ეს მაისურიც გაცვია შენ და ესე იგი, საიდანღაც ხარო, რო იქა ცხოვრება არისო. ჩაცმა არის, ამ ჩემს მაისურაძეებს, ამ კაცისთვის დაურქმევია მაისური... მაისურაძე, და ეს მაისურაძე, გვარი იქიდან წამოვიდა. იმ ზედათმოგვში რო კაცი ავიდა ამ კაც დიეწერა მაისურაძე, ჩამოვიდა და ეს კაცები წავიდნენ და ტყე გაიჩეხა, გაქცევა მოხდა, განიავება მოხდა, დატრიალდნენ, მოვიდნენ, ეს თმოგვის ციხე, ეს სოფელი, მერე წყალდიდობა იყო, ეს სოფელი ხევ-ღელედ აქცია, და ესენი ავიდნენ, ავიდნენ და ტყე გაიჩეხა და გაშენდა სოფელი, ზედათმოგვი. ყველა მაისურაძე, რაჭაშიც რო არის, ეს ყველა მაისურაძემ იცოდეს, რომ ზედათმოგვის მაისურაძეა, და აქედან არიან იქ წასულები. ასე მოშენდა ის ხალხი. მერე რო დაბინავებულან, მაშინ ხომ ბეგი იყო, რაღაც იყო, ზედა თმოგვში ცოტა ხალხი მონგროვილა და ყოფილა ერთი კაცი მომღერალი, ზედათმოგვისა. ზედა ვარძიის ხალხი, მირაშხანელები მიდიოდნენ და მოდიოდნენ. თათრები ჯერ დატკბნენ, კარგად იყვნენ, გაიქცნენ და მოვიდნენ მერე. ისევ ჩამოვარდა შუღლი. თვრამეტ წელშიც და უფრო ადრეც, კიდევ გაიქცნენ და კიდევ დაერივნენ, მერე ეს მაისურაძე, ერთსა მისულა, ბევრი ძმა ყოფილან, – თეაანი, ბიზიკაანი, შაპაანნი; ეს სამი ძმა ყოფილა, ესენი რო ის ქნილან და ერთი ძმა აქ გოგაშენ, იმათ გაუგზავნიათ, მოჯამაგირეთ. ამ ორ ძმას ზედათმოგ შვილები ჰყოლიათ, გამრავლებულან, ის ძმა გოგაშნიდან გამოქცეულა. ძმა ამ იმასა, კუჭუაი ყოფილა, იქ ყოფილა მოჯამაგირეთ, გამოქცეულა და გამოსულა და ეს ქეეანნი ხო დღესაც თავმომწონე ხალხი ყოფილან, გამოჰყოლია ბეგი და უთქვია, თუ უნდა ემუშავა ჩვენთან, მონანა ყოფილიყო, გამოიყვანე, უნდა წავიყვანოთო, რო იმუშაოს. ქეაი გამოვარდნილა, – არ უნდა ბავშვს და არ მოდისო. აგერ მე მოვდივარ. – შენ არ მინდიხარო. ეგ წამოვიდესო. ქეას უამაყია და გაუგდიათ ბეგი. არ მიუცია ძმაი იმისთვის. მერე წასულა, წამოსულან ესენი, გამრავლებულან, მერე ეს ძმიები გაიყარნენ და გაიყვეს მიწა. ყველას შეხვდა ეს ჭალები, – დანიეთში აქვთ შაპაანთ. ამ ბიზიკას ცოლს

სურათზე ევა მაისურაძე

არ მიუცია, არ მიუციათ ამ ჩემს პაპის პაპისთვის, რო შენაო, მოჯამაგირეობიდან დაგიხსენიო და შენ ჭალა არ გეკუთვნისო, რო მიწა გქონდეს და ჭალაო. არ ქონდათ ჩვენებს. მერე ეს ამათში კაი ვაჟკაცები დაზრდილან, ამ ძმიებში ერთ ყოლია ძალიან ლამაზი ქალი, ისე ლამაზი ქალი, რო ბეგ დაუდგია კბილები, რო, კაცო, ქართველთან ეს ქალი როგორნა გავაჩეროო, ღამით მოუტაცია, ორსული ქალი ყოფილა, მოუტაცია, წაუყვანია და რა ექნათ ქართველებ, ერთი ჭაჭვი ქართველები ყოფილან, თათრები ბევრნი. გაიზრდა იქ ბავშვი, გახდა ათი თუ თორმეტი წლის და გადის, თამაშობს თათრის ბავშვებში. ქალი ბეგის ცოლია, ის კარზე კი არ გამოდის, მოახლეები ყავს, ი ბავშვი რო გამოვა, ტირილით შედის სახლში და დედამისი ეუბნება, რათ ტირიხარო, ყველა ლამაზად თამაშობსო.

– მე რო ვთამაშობ, მეძახიან, – გიაური მოვიდაო და რატო მეძახიან გიაურსაო.

– მერე რა, შვილო, ლამაზი ხარ და იმიტომ გეუბნებიანო. ერთხელ ორჯერ და ბავშვი დაფიქრდა: – უთხრა, არ უთხრაო?

– დედა, მითხარი სიმართლე, რათ მეძახიან გიაურსაო. მერე აიღო ქმრისგან ნებართვა ქალმა, – ბავშვი იძახის, გიაურს მეძახიანო და უთხრაო, სიმართლეო?

– მერე რაო, უთხარიო, – უთხრა ბეგმა, გაიგოს ბავშვმაო.

ამ ბავშვს უთხრეს, ათი თხუთმეტი წლის ვაჟკაცია, – რო, შვილო, მე ვარ ქართველიდან მოტაცილი ქალი, ამა და ამ სოფლიდან, – ჩემი მამაი, ასე მოყვებოდა ხოლმე. მეც გაგონილი მაქვს. ჰოდა, რო მომიყვანაო, შენზეო, გადასარჩენი ვიყავიო და გზრდის და თავის შვილებში არ გარჩევსო. რა არის მერე, დაგიძახონ გიაურიო.

– არაო, – ბავშვმა უთხრა, – რაღაი ქართველი ვარ, არ დავდგები აქაო და ახლა ამაზე გადაირია დედამისი. ადგა ლამაზათა და უთხრა ქმარსა, რო რათ მათქმევინე, ვეღარ გამიჩერებიაო, არ შვრებაო.

– ვერ გაგიჩერებია და გავგზავნოთო, წავიდესო. თუ ვინმე დახვდა, – ან მამა, ან პაპა, ან ვიღაცაო, იქნება თუ არა, მოვაო.

შეუკაზმა ცხენი, გაუვსო აბგა სურსათით, კაი საკმარისი ოქროც მისცა და გამოუშვა.

რო გამოვიდა, დედამისმა დაიჭირა და სამი ოქრო ჰქონდა და ჯიბეში ჩაუდო. ესაც გქონდესო, შვილოო. რო გამოუშვა ბეგმა, კაცი გამოუყოლებია. ოქრო რო აბგაში ჩაუყრია, კაცს დაუნახია, გადმოსულა და ქვის წყაროებს რო ეძახიან, გადმოსულა და დაღალულ ბავშვს დაულევია ცივი წყალი და დასძინებია. ამ თათარს რო მოჰყავს, ცხენიდან აბგა ჩამოუღია და რაც ოქრო ჰქონია, ამოუცლია და ის დედის მიცემული სამი ოქრო დარჩენია ჯიბეში ამ ბავშვსა. იმ სამი ოქროთია ეს ალაგური ნაყიდი. რო მოჰყავდა თათარს ბავშვი, ის კაცი ხნიანი კაცი იყო, გამოაყოლა, რო გზა-კვალი ასწავლეო. გზა-კვალზე გადმოიყვანა, ქარაფზე გადაახედა და უთხრა, – აჰა, შენი სოფელიო. ლამაზად ჩანსო.

წამოვიდა ეს ბიჭი, გადმოვიდა. აქ იკითხა, იქ იკითხა, აღარც დედის დედა იყო, აღარც მამა იყო. მერე ბიზიკაანთთა მივიდა და ბავშვი მიიღეს, გაზარდეს, რაღა თავეთი იყო და მაისურაძე იყო. ამ მაისურაძეს ბევრი ბიჭი ყავდა – ექვსი ძმანი იყო და ესენი ასე თუ ისე დაიზრდნენ და დაინიშნა ეს ბიჭიც. ეს ალაგური, ვარძიის ქვეიდან რო არის, ეგ ალაგური, ჩამოვიდნენ და ხეხილი უნდოდათ, არავინ აძლევდა მაგ მიწას, მერე ამ ბიჭმა დედის ნაჩუქარი ოქრო ამოიღო უბიდანა და მისცა ეს ოქროები და იყიდა, მას ალაგური კი არა, ანაგური იმიტომ დაარქვეს, დედის გულიდან ამოღებული ოქრო რომ მისცა ბიჭმა, ამიტომ ჰქვია ამ ჩვენს ვარძიის ქვემო ადგილს ეს სახელი. ამ ჩემ მაისურაძიების ფესვიდან ეს ბიჭები მერე დაიფანტნენ, ზოგი დასავლეთში წავიდა, ზოგი რაჭაში, ძაან ბევრგან, ძალიანაც ბევრი მოშენდა, მაისურაძე, ყველგან არი.

მთქმელი ევა მაისურაძე,
სოფელი ნაქალაქევი,
ჩაიწერა რუსუდან ბერიძემ,
2016 წელს

ლიმილის ყუთი

რა დამიჯდა სიმართლის თქმა

გასული საუკუნის 90-იან წლებში რაიონის განათლების განყოფილების გამგედ ვმუშაობდი, რა დროსაც ხშირად მიხდებოდა სიარული დედაქალაქში. მორიგი მოგზაურობის დროს, მგზავრობა მომიხდა იმ პერიოდისათვის პრესტიჟული ავტომანქანა – „ნივით“.

ჩემთან ერთად მგზავრობდა ერთი ქალბატონი, რომელიც თურმე ასპინძის რაიკომის მდივნის დეიდა ყოფილა, რომელსაც პირადად ვერ ვიცნობდი.

უკანა სავარძელში მე და ის უცნობი ქალბატონი მოვთავსდით, რომელიც საქართველოს რადიოს იმხანად არსებული გადაცემის – „სოფლის დილის“ კორესპონდენტად გამეცნო, რომელიც დაინტერესებული იყო რაიონის სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობით და გარკვეული ინფორმაციის ჩემგან მიღებას ცდილობდა.

შემოდგომა იდგა და მოსავლის აღების მიმდინარეობაზე ათასნაირ შეკითხვებს მაძლევდა. მეც, გულუბრყვილოდ, „გავანდე“ რაიონში არსებული რეალური მდგომარეობა, რომ ვისაც კი ხელი მიუწვდებოდა, ყველა ტაციობაზე იყო გადასული, ეს იქნებოდა მერგოლური, ბრიგადირი, ფერმის გამგე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბუხჰალტერი თუ რაიონის მაღალი რანგის ჩინოვნიკი...

ჩემს წინ მჯდომი ჩემი თანამგზავრი ყველანაირად ცდილობდა რომ ამ ქალბატონს საუბარში არ ავყოლოდი, ხშირად მაჩერებდა და საკითხი სულ სხვა თემაზე გადაჰქონდა, მაგრამ...

ბორჯომში შემოვედით თუ არა, ქალბატონმა სთხოვა მძღოლს, მანქანა გაეჩერებინა, – ფოსტაში პატარა საქმე მაქვსო.

რაიონში დაბრუნების შემდეგ, მეორე დღესვე გამომიძახეს რაიკომის პირველ მდივანთან. მაშინვე გამახსენდა წინა დღეს ჩემი მგზავრობა „სოფლის დილის“ კორესპონდენტთან, რომელსაც, თურმე, სიტყვა-სიტყვით „ჩაუკაკლავს“ წინა დღეს ჩემი ნაამბობი, მაგრამ ყველაფერი უკვე გვიანი იყო.

ჩემი წინა დღის „სიმართლის აღიარება“ ერთ დიდ შეხურებად დამიჯდა.

დიმიტრი მაღრაძე

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია